Instru Clean

ფერმენტული სარეცხი საშუალება სამედიცინო ინსტრუმენტებისთვის

Zoma Instru Clean წარმოადგენს თანამედროვე, მულტიფერმენტულ სარეცხ საშუალებას, რომელიც შექმნილია სამედიცინო ინსტრუმენტების და ენდოსკოპების რეცხვისთვის. მისი გამოყენება უზრუნველყოფს ორგანული ნარჩენების ეფექტურ მოცილებას, რაც მნიშვნელოვანია სტერილიზაციის პროცესისათვის.

შემადგენლობა:

ეთილენდიამინტეტრაძმარმჟავას ტეტრანატრიუმის მარილი, მონოეთანოლამინი, ალკოჰოლები, C13-15, ეთოქსილირებული.ალკოჰოლები, C13-15, განშტოებული და ხაზოვანი, ბუტოქსილირებული ეთოქსილირებული,ცხიმოვანი სპირტის ალკოქსილატიპროპილენგლიკოლი,ლიმონმჟავას მონოჰიდრატი,პროტეაზა (სუბტილიზინი),ალფა-ამილაზაპროტეაზა (სუბტილიზინი), მეთილქლოროიზოთიაზოლინონი/მეთილიზოთიაზოლინონის ნარევი

მოქმედების ბიოქიმიური მექანიზმი

Zoma Instru Clean-ის ეფექტურობა ეფუძნება ფერმენტული აქტივობის და დეტერგენტული მოქმედების კომბინაციას:

პროტეაზა (სუბტილიზინი) - ახორციელებს ცილოვანი ნარჩენების (სისხლი, ქსოვილები) ჰიდროლიზს პეპტიდური ბმების გახლეჩვით, რაც უზრუნველყოფს მაკრომოლეკულების დაშლას ადვილად მოსაცილებელ მცირე პეპტიდებად

ალფა-ამილაზა - კატალიზებს ნახშირწყლების და სახამებლოვანი ნაერთების ჰიდროლიზს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სხვადასხვა სეკრეტებთან დაკავშირებული დაბინძურების მოცილებისთვის

სურფაქტანტული სისტემის მოქმედება უზრუნველყოფს ჭუჭყის ემულსიფიკაციას და აუმჯობესებს სარეცხი ხსნარის შეღწევადობას რთულად მისაწვდომ ზედაპირებზე.

დანიშნულება და გამოყენების სფერო

Zoma Instru Clean წარმოადგენს ნეიტრალურ ფერმენტულ სარეცხ საშუალებას, რომელიც განკუთვნილია შემდეგი სამედიცინო დანიშნულების საგნების, ქირურგიული და სტომატოლოგიური ინსტრუმენტების,ენდოსკოპების რეცხვისთვის.

ასევე გამოიყენება სხვა სამედიცინო ინვენტარის წმენდისთვის, რომელიც საჭიროებს წინასასტერილიზაციო დამუშავებას.

სამუშაო ხსნარი გამოიყენება როგორც ხელით რეცხვისთვის , ასევე ულტრაბგერით აბაზანაში.

გამოყენება

დაბინძურების დონე	**კონცენტრაცია**	**ექსპოზიციის დრო**	**განზავების პროპორცია**
მცირე დაბინძურება, წინასწარი ჩალბობა	0.5%	20 წუთი	5 მლ 995 მლ წყალზე
საშუალო დაბინძურება	1%	20 წუთი	10 მლ 990 მლ წყალზე
ძლიერი დაბინძურება	2%	15 წუთი	20 მლ 980 მლ წყალზე

გამოყენების სტანდარტიზებული პროცედურა

სამუშაო ხსნარის მომზადება:

მოამზადეთ სამუშაო ხსნარი სუფთა კონტეინერში რეკომენდებული კონცენტრაციით. ხსნარის მოსამზადებლად კონცენტანტის განზავება ხდება ონკანის წყალში დოზირების ცხრილის შესაბამისად. სამუშაო ხსნარის ოპტიმალური ტემპერატურა 35-40°C.

ინსტრუმენტების დამუშავება:

მოათავსეთ ინსტრუმენტები ხსნარში, უზრუნველყავით ყველა ზედაპირის სრული კონტაქტი სითხესთან

დაიცავით რეკომენდებული ექსპოზიციის დრო დაბინძურების ხარისხის მიხედვით.

ულტრაბგერით აბაზანაში გამოყენებისას ექსპოზიციის დრო შეიძლება შემცირდეს 3-10 წუთამდე

სამუშაო ხსნარში რეცხვის შემდეგ საფუძვლიანად გაავლეთ ინსტრუმენტები გამდინარე წყლით, გააგრძელეთ დეზინფექციის და სტერილიზაციის პროცედურა დაწესებულების სტანდარტული პროტოკოლის შესაბამისად.

უსაფრთხოების ზომები:

დამუშავების პროცესში რეკომენდებულია შემდეგი პერსონალური დაცვის საშუალებების გამოყენება:

დამცავი ხელთათმანები

დამცავი სათვალე

სამედიცინო ხალათი

შენახვის პარამეტრები

შეფუთვის ვარიანტები: 5 ლიტრი, 1 ლიტრი

შენახვის ტემპერატურული რეჟიმი: 5-25°C

დაიცავით პრეპარატი მზის პირდაპირი სხივებისგან

ვარგისიანობის ვადა: 3 წელი დაუზიანებელ, თავდახურულ შეფუთვაში

საკონტაქტო ინფორმაცია

მწარმოებელი შპს ზომა ჯორჯია
მისამართი: თბილისი, ფონიჭალა, რუსთავის გზატკეცილი 68ა
ტელ: +995 (595) 608 778
ვებ-გვერდი: www.zoma.ge
ელ-ფოსტა: info@zoma.ge